ბასა ჯანიკაშვილი

მეზობლები

კომედია ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ნანა

ალიკო

უცნობი მამაკაცი

პიესაში მთავარი გმირი მღერის ჯგუფის „მწვანე ოთახი“ სიმღერას „მისები“ და ირაკლი ჩარკვიანის სიმღერას „ორღანი 78“

სურათი პირველი

(ცუდად განათებული სადარბაზო. შემოდის ალიკო. სანთებელათი გზას ინათებს და ლიფტისკენ ფრთხილი ნაბიჯით მიდის).

ალიკო

ვინ არის აქ?

ნანა

(პაუზის შემდეგ, იგი ჯერ არ ჩანს). მე ვარ.

ალიკო

(ვერ ხედავს ნანას). გამარჯობა... *(პაუზის შემდეგ)* ნუ გეშინიათ, მეც ამ სადარბაზოში ვცხოვრობ. გატყობთ, შეგაშინეთ...

ნანა

ცოტათი...

ალიკო

ნუ გეშინიათ. მე აქ ვცხოვრობ. შუქი არ არის?

ნანა

ნათურაა გადამწვარი...

ალიკო

ლიფტი მუშაობს?

ნანა

მე მგონი...

ალიკო

ძალიან კარგი, თუ მუშაობს. *(პაუზის შემდეგ)* სად ხართ? ვერ გხედავთ... მაინც გეშინიათ?

ნანა

(ნერვულად, დაბალ ხმაზე მღერის) „სიყვარული ანარქიას გავს...“

ალიკო

ხომ გითხარით, აქ ვცხოვრობ-მეთქი?

ნანა

დავიჯერო?

ალიკო

(სანთებელა სახესთან ახლოს მიაქვს). ვერ მიცანით?

ნანა

არ გაინძრე. ჩააქრე, თორემ ვიკივლებ.

ალიკო

კარგი, კარგი! რატომ ღელავ? ნუ ნერვიულობ, თორემ მეც შემეშინდება. *(პაუზის შემდეგ)* წახვედით? ახლა სანთებელას კიდევ ერთხელ ავანთებ და ყველაფერი თავის ადგილას დადგება.

ნანა

არ აანთო, თორემ ვიკივლებ!

ალიკო

სიგარეტის მოწევა რომ მინდა?

ნანა

არ მოწევ!

ალიკო

ახლა უკვე!..

ნანა

გაიწიე!

ალიკო

საით გავიწიო, ერთი მითხარით?!

ნანა

გასასვლელში დგახარ, გასვლა მინდა!

ალიკო

თქვენ როგორც ვატყობ, სიბნელეში კარგად ხედავთ.

ნანა

გამიშვი!

ალიკო

მიბრძანდით!

ნანა

გაიწიე, გასასვლელს ნუ ღობავთ!

ალიკო

არ გავიწევი, თუ გინდათ გასვლა, მიბრძანდით!

ნანა

ვიკივლებ!

ალიკო

იკივლეთ, თუ გინდათ, მთელი ღამე იკივლეთ, თუ გინდათ, დილამდე იკივლეთ და რაც გინდათ, ის ქენით! მე აქ ვდგავარ და თუ გასვლა გინდათ, საკმარისი ადგილია! მიბრძანდით!

ნანა

რატომ მომყვები კუდში?

ალიკო

მე?! თქვენ?

ნანა

მთელი ქუჩაა, კუდში მომდევ! მაღაზიაში შემომყევი, აფთიაქში შემომყევი, ყველგან დამყვები! რა გინდა ჩემგან? მითხარი, თორემ მართლა ვიკივლებ!

ალიკო

თქვენ ნორმალური თუ ხართ საერთოდ?

ნანა

მიპასუხე, რატომ დამდევ? რა გინდა? მე ვიცი. მანიაკი ხარ! გარყვნილი მანიაკი! გაიწიე, გზა მომეცი!

ალიკო

იკივლეთ და გავიწევი!

ნანა

შენც ეგ გინდა! მძულხარ! მეზიზღები!

ალიკო

იკივლეთ, იკივლეთ, რომ გრძნობები ამეშალოს, რომ ადამიანის სახე დავკარგო და მერე არ ვიცი, რას გიზამთ!

ნანა

დამშვიდდით!

ალიკო

(ნანასკენ ერთ ნაბიჯს დგამს, თუმც კი იგი არ ჩანს). მე დავმშვიდდე? მე?!

ნანა

არ გაინძრე! არ გაინძრე! ხელში გაზის პისტოლეტი მიჭირავს. ერთი ნაბიჯიც და გესვრი!

ალიკო

არ ისროლოთ!

ნანა

გაიწიე, გამატარე!

ალიკო

კი, კი ბატონო. *(ხელებაწეული უკან იხევს).* საით გავიწიო, მარჯვნივ თუ მარცხნივ?

ნანა

ნუ ხუმრობ, ნუ ხუმრობ, თორემ გესვრი.

ალიკო

თქვენ უფრო დიდი მანიაკი ყოფილხართ, ვიდრე მე.

ნანა

ხმა! სიტყვა! კრინტი!

(ნანა ნელ-ნელა სიბნელიდან გამოდის. ხელში მართლაც პისტოლეტი უჭირავს, რომელსაც ალიკოს უმიზნებს. ნანას მომდევნო ბრძანებებს ალიკო უსიტყვოდ ასრულებს).

ნანა

გვერდით მიდექი! ერთი ნაბიჯით შიგნით შემოდი, აი, ასე! ხელები მაღლა! დაიჩოქე! ახლა ადექი და სამჯერ ახტი! ახლა სალტო შეასრულე! ახლა ასკინკილით წრე დაარტყი! მე ახლა გიახლოვდები. ხელში გაზის პისტოლეტი მიჭირავს, „ბრაუნინგი *ჯი-ემ*-აი 830“. რვა ტყვია მჭიდში, რვა მანიაკის აცრემლებული თვალები და რვაჯერ გადარჩენილი ქალურობა და პატიოსნება. რვა სიცოცხლე და რვაჯერ დაფიქრება! შენ ერთი ტყვიაც გეყოფა. ახლა კი იმღერე!

ალიკო

რა ვიმღერო?

ნანა

„ჟუჟუნა წვიმა“. მე რა ვიცი?!

ალიკო

(მღერის) „სანამ გელიან ნაზი მისებიიი, აიღე შენიაა, დრო არ დაბრუნდეებაა, სანამ მუზებს არ დაავიწყდებიი, იმღერე შენიაა, სანამ გემღერეეებაა...“

ნანა

ყოჩაღ!

ალიკო

ქუჩაში რა გინდათ, შინ არ მიდიოდით?

ნანა

ლიფტი არ მოდის.

ალიკო

ფეხით ადით.

ნანა

ბოლო სართულზე? შენ ადი, თუ კარგია!

ალიკო

ავალ, ოღონდ თავი დამანებეთ.

ნანა

არა, არ გაინძრე! იქ დამხვდები. მიგიხვდი ჩანაფიქრს. არ გაინძრე! აქ დარჩები!

ალიკო

რა დავაშავე?

ნანა

რაც დაიმსახურე! შენისთანები სულ ერთიანად უნდა დაამწყვდიო ციხეში!

ალიკო

რა უფლებით მეუბნებით, როგორ მოვიქცე?

ნანა

ნუ თვალთმაქცობ! ვიცნობ შენნაირებს.

ალიკო

დამანებებთ თუ არა თავს? შემიძლია თუ არა შინ წასვლა? რა გინდათ ჩემგან? ვინ ხართ?

ნანა

შენ თვითონ ვინ ხარ? შენ თვითონ დამანებე თავი, შენ თვითონ დაიწყე ყველაფერი!

ალიკო

მე დავიწყე? ეს თქვენ დამასწარით! რატომ დამასწარით? ხომ შეიძლებოდა, პირველს მე შემშინებოდა? მაშინ, ხომ სულ სხვაგვარად იქნებოდა საქმე? რატომ დამასწარით შეშინება? რატომ შეგეშინდათ ჯერ თქვენ და არა მე? რატომ?

(ორივენი ერთად)

ნანა – დასწრებაზეა ყველაფერი. გამატარე. *(ფრთხილი ნაბიჯით გასასვლელისკენ მიდის).* ჩემთან ასეთები არ გაგივა. ერთი ნაბიჯი და ერთმანეთს სამუდამოდ დავემშვიდობებით. ვეღარასდროს გნახავ და ვიქნები საოცრად ბედნიერი, რომ შენნაირს აღარ შევხვდები. მაგრამ, თუ კიდევ ერთხელ, სადმე, შემთხვევით, თვალი მოგკარი, გესვრი, გეფიცები გესვრი და ჩაგაბარებ! მორჩი, გეყოფა, ნუ ბავშვობ, გაჩუმდი, დაოკდი!!! გაჩუმდი!!!

ალიკო – მიბრძანდით! არ გავინძრევი, ხმას არ ამოვიღებ. თუ იქნებ, კიდევ ერთხელ გიმღეროთ? *(მღერის)* „გაივლის დრო და წაიღებს ტკივილსსს, სიტყვებიი დაადნობს თოვლსსს. დავბრუნდები ისევვვ ყვავილებით ხელშიიი, დავივიწყებ წაგებულ ოოომსსს, მეე მოოვალ შენთან ალბათ დღეეს…“ თუ თავდაყირა დავდგე და ალე ჰოპი ვაკეთო? თუ რა გინდათ?! გინდათ, ვიცეკვო? *(ლეკურს ჩამოუვლის).* ასაა! ასაა!

(გასროლის ხმა. ალიკო ძირს ეცემა. ლიფტის კარი იღება).

სურათი მეორე

(რამდენიმე წუთის შემდეგ. ადგილი უცვლელია – სადარბაზო. ალიკო უგონოდ წევს).

ნანა

ჰეი, ჰეი, გამოფხიზლდით!

ალიკო

რა ხდება, სად ვარ?

ნანა

ნუ გეშინიათ. ცოცხალი ხართ.

ალიკო

მოჩვენებაა თუ რაა? რატომ ბნელა? დავბრმავდი? თუ მოვკვდი?

ნანა

ცოცხალი ხართ, დამშვიდდით. სადარბაზოში ნათურაა გადამწვარი. აქ რატომ წევხართ?

ალიკო

არ მახსოვს...

ნანა

ხომ არ გაგქურდეს? ათასი მანიაკი დადის...

ალიკო

არა, საფულე ადგილზეა. თავი, ვაიმე, თავი.

ნანა

ასე იცის, მალე გაგივლის.

ალიკო

თქვენ, თქვენ ვინ ხართ?

ნანა

დაგინახეთ და გვერდი ვერ აგიარეთ. შემეცოდეთ.

ალიკო

ა-აა, ახლა მახსენდება.

ნანა

ჯერ კი შემეშინდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მართლა რაღაც შეგემთხვათ.

ალიკო

შინ მივდიოდი, გზად ვიღაც მანიაკი ამეკიდა, ჯერ მაღაზიაში შემომყვა, მერე კიდევ სადღაც, მერე აქ, სადარბაზოშიც და მეშინიაო – მითხრა. მითხრა და მესროლა.

ნანა

კაცი იყო თუ ქალი?

ალიკო

ქალი იყო, მაგრამ კაცს უფრო ჰგავდა.

ნანა

ალბათ, თქვენ ქალი ეგონეთ! წამოდექით, წამოდექით... ამ ბოლო დროს ისეთი კაცები წამოვიდნენ, ქალებსაც შეშურდებათ.

ალიკო

(დგება). და ქალები, რა ქალები გვყოლია თურმე, ახლა გავიგე. ქალები კი არა, ნამდვილი მამაკაცები არიან, კაცები!.. თუ არ დაასწარი, დაგასწრებენ, გადაგივლიან, გაგთელავენ. დაგასწრო – მისია, დაგასწრო – გაჯობა, დაგასწრო – გესროლა, დაგასწრო – მოგკლა. აი, ასეთი ქალები წამოვიდნენ ახლა.

ნანა

თქვენი მოკვლა რომ ნდომებოდათ, მოგკლავდნენ.

ალიკო

ლიფტი მუშაობს?

ნანა

გამოვუძახე...

(უხერხული სიჩუმეა. ლიფტის ჩამოსვლას ელოდებიან).

ალიკო

რა უნდოდა? რატომ შეეშინდა? ეს მე უნდა შემშინებოდა და არა პირიქით. ქალი... ქალი... იცი, რას ჰგავდა? რას და ვირთხას. შეშინებულ წრუწუნას, არა, წრუწუნა ძალიან სიმპათიურია მასთან შედარებით. ვირთხა, პისტოლეტიანი ვირთხა. უსუსური, ძალაუფლების მოყვარული, მდაბიო, რა ვიცი, კიდე რა ვუწოდო? ტფუ! გახსენებაც არ მინდა. იმიტომ ხართ ჩუმად, რომ არ გინახავთ მისი სახე. ოო, რა მახინჯი იყოოო, ოოო, რა არასასიამოვნო და არამიმზიდველი. არ მეგონა, კიდევ თუ იყვნენ ასეთი ქალები... რატომ მიყურებთ ასე? ვიღაც გიჟი სადარბაზოში მხვდება, მქურდავს და მიმტკიცებს, რომ ჩემი ეშინია. გაგიგიათ ასეთი?

ნანა

თქვენ არავის გაუქურდიხართ.

ალიკო

რატომ იცავთ? რატომ იცავთ?!

ნანა

იმიტომ, რომ... არ ვიცი!

ალიკო

ოჰ, რა სისუსტეა, რა სათნოებაა, რა გულუბრყვილობაა. მეზიზღება ყველა ქალი დედამიწის ზურგზე, იმიტომ რომ არიან ნამდვილი… ნამდვილი…

ნანა

რატომ მიყვირით? თქვენ ვინმეში ხომ არ გეშლებით?!

ალიკო

მეზიზღებით!

ნანა

არც ჩვენ გვახატიხართ გულზე.

ალიკო

ტფუ!

ნანა

ჰმ!

(ლიფტის კარი იღება. ჯერ ალიკო შედის, შემდეგ ნანა).

ალიკო

საკმარისად დაუთმეს კაცებმა ქალებს!

ნანა

ვინ გთხოვდათ?

ალიკო

სართული?

ნანა

ჯერ თქვენ ადით.

(ალიკო ღილაკს თითს აჭერს. კარი იკეტება. ლიფტი დაიძვრება).

ალიკო

რატომ არ წახვედით აქამდე, ხომ მესროლეთ ეგ თქვენი პისტოლეტი?

ნანა

მე არ მისვრია!

ალიკო

ყველაფერთან ერთად მატყუარაც ყოფილხართ.

ნანა

აი, რა და მატყუარა ნამდვილად არა ვარ.

ალიკო

ხელში პისტოლეტი გეჭირათ და მესროლეთ და მატყუებთ, რომ არ გისვრიათ. რა ჰქვია აბა ამას?

ნანა

მქონდა პისტოლეტი, მაგრამ არასდროს მისვრია, არც თქვენთვის, გეფიცებით...

ალიკო

მორჩით, თუ ღმერთი გწამთ.

ნანა

არც თქვენთვის, გეფიცებით...

ალიკო

იქნებ ისიც მითხრათ, არ ვყოფილვარო?

ნანა

მე ვიყავი, მაგრამ მე არ მისვრია!

ალიკო

რატომ ცხოვრობთ ასე? თქვენ ალბათ სულ გეშინიათ. შიში თქვენი ცხოვრების წესია? დარწმუნებული ვარ, რომ ასეა!

ნანა

ვინ მოგახსენათ?

ალიკო

სად იმალებოდით? რა გაქვთ დასამალი?

ნანა

რა ხართ ჰოროსკოპით?

ალიკო

ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული იყავით, რომ ერთმანეთს ვერასდროს შევეწყობით.

ნანა

გეყოფათ, გაჩუმდით.

ალიკო

რა გქვიათ?

(შუქი მიდის და ლიფტი ჩერდება).

ნანა

ნანა.

ალიკო

ასეც ვიცოდი.

ნანა

ნანა რომ მქვია, თუ შუქი რომ წავიდოდა?

ალიკო

დილამდე თუ მოგვიწია აქ ყურყუტი!..

ნანა

გამეცით პასუხი!

ალიკო

(სანთებელას ანთებს. ნანა შეჰკივლებს). ნუ ყვირით! რა გაკივლებთ?

ნანა

რა იცოდით?

ალიკო

(ლიფტის კარის გაღებას ცდილობს). ვერ არის საქმე კარგად.

ნანა

მაპატიეთ.

ალიკო

სართულებს შორის ვართ გაჭედილი.

ნანა

ვერ გავალთ?

ალიკო

კედლებშიც თუ ძვრებით, არ ვიცი.

(სიჩუმე. ნანა მალულად ალიკოსკენ იყურება. ალიკო კედლებს ისე ათვალიერებს, თითქოს რაიმე გასასვლელს ეძებდეს).

ნანა

ჰმ... *(პაუზის შემდეგ. სიცილით)* ბავშვობაში მე და ჩემი მეგობარი ლიფტით დავსეირნობდით ხოლმე და ორივეს გვეშინოდა, რომ ლიფტი ბოლო სართულზე არ გაჩერდებოდა და გაფრინდებოდა. მაშინ სხვა სახლში ვცხოვრობდით.

ალიკო

აბა, უკეთესს რას მოიფიქრებდით?

ნანა

ჰმ...

ალიკო

რას ნიშნავს თქვენი „ჰმ“?! რას ნიშნავს ახლა ეს?!

ნანა

ჰმ!..

ალიკო

გაჩუმდით, ახლავე დაანებეთ თავი თქვენს „ჰმ“-ს!

ნანა

რასაც მინდა, იმას ვიტყვი.

ალიკო

ოოო, როგორ მიშლით ნერვებს! მიშველეთ! *(კარზე მუშტებს ურტყამს).* ჰეი, ვინმეს გესმით ჩემი? ლიფტში ვარ გაჭედილი!.. მიშველეთ, გამომიყვანეთ აქედან!..

ნანა

გაჩუმდით, რა გაყვირებთ? რისი გეშინიათ?

(ალიკო ნანას ათვალიერებს, თითქოს პირველად ხედავდეს).

ნანა

რას მიყურებთ? ნუ მიყურებთ. რატომ მათვალიერებთ?

ალიკო

(პაუზის შემდეგ) ნამდვილი ნანა ხართ!

ნანა

რას ნიშნავს ეს?

ალიკო

ყველა ნანა მშიშარა და გაუთხოვარია.

ნანა

თქვენ რა იცით?

ალიკო

ყველა ნანა ერთმანეთს ჰგავს. ბავშვობაში რას გეძახდნენ?

ნანა

სტერეოტიპების მსხვერპლი ხართ!

ალიკო

გინდათ, მე შეგარქვათ სახელი?

ნანა

ცუცქნას – მოფერებით.

ალიკო

თქვენ შავგვრემანი, საშუალო სიმაღლის, წელში მოხრილი და გამხდარი გოგონა ხართ. დღეში ხუთ ან ექვს ჭიქა ყავას სვამთ და ჭორაობთ. ჭორაობთ და ჭორაობთ. სამსახურში ისე-რა დადიხართ, სახლში დედა და მამა გელოდებათ, ალბათ დაც, ძმა არა გყავთ, თორემ ასეთი მშიშარა არ იქნებოდით. და კი გათხოვილია.

ნანა

არ მითხრათ ახლა, დის შური კლავსო.

ალიკო

სიძე ბიზნესმენია, დიდი ფულის პატრონი. ხომ ასეა?

ნანა

თქვენ რა გქვიათ?

ალიკო

არ გაგივათ.

ნანა

მითხარით, რა გქვიათ, თუ მე შეგარქვათ სახელი?

ალიკო

არ შემაშინოთ!

ნანა

მითხარით!

ალიკო

გამიშვით ხელი, ნუ მეხებით!

ნანა

არავინ გეხებათ, მოლანდებები დაგეწყოთ უკვე.

ალიკო

თქვენს ხელში!..

ნანა

ოჰ, ოჰ!

ალიკო

მიშველეთ! *(კარზე მუშტს ურტყამს).* გამიღეთ კარი, ლიფტში ვარ გაჭედილი. არ გესმით?! გამომიყვანეეთ!

ნანა

თქვენ კიდევ წელგამართული, გამხდარი, მელოტი კაცი ხართ. სახლში ცოლი და ორი შვილი გეყოლებათ – ორივე გოგო, თორემ ქალების ხასიათში ასეთი გათვითცნობიერებული არ იქნებოდით... რა გინდათ..? რატომ მეხებით ფეხებზე?

ალიკო

იქნებ ისიც დამაბრალოთ, რომ თქვენი შეცდენა მინდა? ჯოჯოხეთში ვარ რა!

ნანა

თქვენ ახლა ჩემს ფეხს ეხებოდით.

ალიკო

რა ჯანდაბა მინდა მე თქვენს ფეხთან? რა დამკარგვია მანდ? თქვენ რა, მართლა ფიქრობთ..? აა, მივხვდი, თქვენ ყველაფერთან ერთად ინტრიგანიც ყოფილხართ. რას კადრულობთ, თუ იცით?

ნანა

მე ვკადრულობ თუ თქვენ? ხომ არ გინდათ, ჩაგაფაროთ თავში ეს ჩანთა?! კიდევ ერთხელ შემეხებით და არ ვიცი რას გიზამთ.

ალიკო

რას მიყვებოდით ჩემს ინტელექტუალურ-ჰომეოპათიურ წარმომავლობაზე?

ნანა

ნუ გადაგაქვთ საუბარი სხვა თემაზე. თქვენ მე ფეხებზე მეფერებოდით.

ალიკო

თუ თქვენ ხუმრობთ, ვიფიქრებ, რომ საკმაოდ უცნაური იუმორის გრძნობა გქონიათ. თუ კიდევ იტყვით რამეს, ვიფიქრებ, რომ მართლა გინდათ მოგეფეროთ, მაგრამ ამას ვერ ეღირსებით!

(თითქმის ერთდროულად. ალიკო ერთი წინადადების დაგვიანებით უპასუხებს ნანას. დიალოგი ისე უნდა აეწყოს, რომ ბოლო წინადადება ალიკომ მარტო თქვას, რასაც ნანას მიერ ალიკოს თავში ხელჩანთის ჩარტყმა მოჰყვება).

ნანა – მე არ მეხუმრება. ლიფტში გავიჭედე ყველაზე აუტანელ ადამიანთან და მე კიდევ ხუმრობის დრო მაქვს? თქვენ, მართლა, ყველაზე მდაბიო მამაკაცი ხართ იმ პირებიდან, ვისაც შარვალი აცვია და კაცობაზე დებს თავს. თქვენ, მართლაც, სახლში ქალების მთელი ჯარი გყავთ, თორემ ჩვენს ხასიათში ასეთი გათვითცნობიერებული არ იქნებოდით. თქვენ, მართლაც, იმდენს მუშაობთ, რომ დაკარგეთ ყოველგვარი ნამუსი და სინდისი. თქვენ, მართლაც, იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებით, სულ რომ უკმაყოფილო არიან დღევანდელი დღით და წელიწადის არც ერთი დრო არ მოსწონთ. თქვენ, ის კაცი ხართ, ვისაც პატივს არ სცემენ, ვინც ეზიზღებათ და უბრალოდ არ იმჩნევენ, როგორც უსარგებლო ნივთს, აი, ვინ ხართ თქვენ!

ალიკო – თქვენ მართლაც აღარ ხუმრობთ! აბა მე მკითხეთ, მე მკითხეთ, რა აზრი ჩამომიყალიბდა თქვენზე? და თქვენ, თქვენ თუ გამოირჩევით იმ

ქალებიდან, ვინც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გებლანდებიან? კაბაც იმიტომ გადაცვალეთ შარვალზე, რომ ქალურობა თქვენში – ქალებში, თითქმის აღარ დარჩა. გამოილია ქალურობა, მორჩა, დამთავრდა. მე თუ ვმუშაობ, თქვენ უსაქმურობით კანი გძვრებათ ენაზე, ყურს დაგაკლდათ და კბილები დაგცვივდათ ამდენი ჭორაობით. თქვენ კი, იმდენად შემჩნეული ხართ, იმდენად თვალში საცემი, რომ ყველა მამაკაცი თქვენს დანახვაზე მანიაკდება, თვალები სისხლით ევსება და ცდილობს კაბის ქვეშ ხელი შეგიცუროთ, რომ იგემოს და დატკბეს იმ ხიბლით, რაც ჯერ კიდევ, იმედი მაქვს, შეგრჩენიათ.

(ალიკო, ნანას ხელჩანთა მოხვდება თუ არა თავში, ჩუმდება. პაუზა იწელება).

ალიკო

რაც უნდა იყოს, არ არის სასიამოვნო, ადამიანს შენზე მცდარი წარმოდგენა რომ ექმნება.

ნანა

რა გქვიათ?

ალიკო

ალიკო.

ნანა

სასიამოვნოა...

ალიკო

ჩემთვისაც...

(პაუზა. ერთმანეთს არ უყურებენ. უცებ ისმის უხერხული ხმა – პრუწ. ერთმანეთს შეხედავენ, ჯერ არ იმჩნევენ).

ალეკო

ეს უკვე მეტისმეტია.

ნანა

ნამდვილი ალიკო ხართ, ლიფტში გაჭედილი ალიკო! როგორ არ გრცხვენიათ!

ალიკო

მე უნდა მრცხვენოდეს? მე უნდა მრცხვენოდეს? ასეთ ადგილას, როგორ შეიძლება?.. ღმერთო, რა სუნი დააყენეთ!

ნანა

მე?! ოოო, როგორი საშიში ხართ!

ალიკო

რა ჭამეთ? ღმერთო, რა სუნია.

ნანა

რა კაცი ხართ? თქვენნაირ ადამიანს არსად შევხვედრივარ. ქალის მაინც მოგერიდოთ?

ალიკო

მე რა მაქვს მოსარიდებელი? ჰაერი გააფუჭეთ და მე უნდა მომერიდოს?

ნანა

რა კარგია?! სხვას აბრალებთ ყველაფერს! ასეთი უბადრუკი რომ ხართ, ალბათ, ესეც სხვისი ბრალი იქნება?

ალიკო

რა სუნია!.. ოღონდ ახლა დენი მოვიდეს, კარი გაიღოს და აქედან თავი დავაღწიო და ვფიცავ მაღალ ღმერთს, რომ არასდროს ვიმგზავრებ ლიფტით უცხო ადამიანთან ერთად.

ნანა

გაჩუმდით, მოგერიდოთ, ასეთ ტყუილებს რომ ამბობთ, ღმერთის სახელი მაინც დაივიწყეთ?!

ალიკო

ვის არ მოსვლია, მაგრამ ასეთი სუნი თუ შეიძლება... თუ წარმომედგინა, საერთოდ, რომ ბუნებაში იქნებოდა... პრეცედენტი იმისა, რომ არსებობს ადამიანი, რომელიც ასეთ სუნს ატარებს საკუთარ სხეულში... წარმომიდგენია, მარტო რომ იქნებით, რას იზამთ, რა საქმეებს ჩაატარებთ, სახლში თქვენთან ალბათ ყვავილიც კი ვერ გაიხარებს, თუ დადიხართ და ასეთ სუნებს აპკურებთ... გინესის წიგნში ხართ შესატანი, თქვენ ეს სუნი თქვენს გაზის პისტოლეტის კომპანიას უნდა მიჰყიდოთ, მე ვიქნები თქვენი მენეჯერი, თუ გინდათ, *(იცინის).* ინგლისური ვიცი, კომპიუტერიც, გავაგზავნი წერილს და ვეტყვი, რომ არსებობს ქალი, რომელიც ნახევარ ფასში მოგყიდით სუნს, რომელიც თვით დიდ ბინ ლადენსაც გამოიყვანდა გამოქვაბულიდან, არსებობს ქალი, რომელიც... *(იცინის).* თქვენ თავდაცვის სამინისტროში უნდა მუშაობდეთ, დარწმუნებული ვარ! დიახ, დიახ, მე მყავს ერთი ნაცნობი, იქ მუშაობს, მივიდეთ, დიახ, კიდევ ერთხელ ვცადოთ, კომისიის წინაშე წარდგებით, არ მოგერიდებათ?..

(იცინის. შეიძლება ცოტა ბევრიც მოუვიდა. ნანას მრისხანე სახის დამნახავი უფრო ადრე გაჩერდებოდა).

ნანა

ყველაზე კარგი თავდაცვის საშუალება თავდასხმაა, არა? თქვენ რა, რადგან თქვენ პირველმა დაიწყეთ ამაზე ლაპარაკი, ესე იგი, ეს მე გავაკეთე? მე ხომ ვიცი, რომ მე არ გამიკეთებია, მე ხომ ეს ვიცი? და ისიც ვიცი, რომ თქვენ ყველაფერთან ერთად – უზნეოც ხართ. გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთ, რომ ამას მაბრალებთ. აი, ასე!

ალიკო

ჰა, ჰა, ჰა! უზნეო, ლიფტში გაჭედილი ალიკო.

(პაუზა. ერთმანეთთან ზურგშექცევით დგანან).

ალიკო

თქვენ თუ არა, ვინ გააკეთა?

ნანა

თქვენ! და, საერთოდ, რატომ?..

ალიკო

რა, რატომ?

ნანა

ახლა ისე გამოდის, მე გავაკეთე ეს და ყველაფერი იმით დაიწყო, რომ პირველმა თქვენ დამადანაშაულეთ.

ალიკო

იმ პრინციპით დაგასწარით, რა პრინციპითაც თქვენ მანიაკობაში დამადანაშაულეთ.

(პაუზა. ალიკო კარგ ხასიათზეა, თავისთვის დგას და იღიმის).

ნანა

არავის ვუსურვებ თქვენს ხელში ჩავარდნას. მანიაკობამდე ცოტა გაკლიათ.

ალიკო

არც თქვენ ხართ შორს.

ნანა

მე სულ სხვანაირი ვარ, თქვენ გამხადეთ ასეთი.

ალიკო

თქვენ ფაქიზი ნატურის გოგონა ხართ, არა? ოჰ!

ნანა

დიახ! მე სულ სხვანაირი ვარ ჩემს მეგობრებში, ახლობლებში, სამსახურში. მე არა ვარ ისეთი, როგორიც თქვენ დამხატეთ.

ალიკო

სად მუშაობთ, ნანა?

ნანა

ჟურნალისტი ვარ.

ალიკო

რამდენი წლის ხართ, ნანა?

ნანა

ქალს ასაკზე არ ეკითხებიან.

ალიკო

და ყველაფერი იმის მერე, რაც გააკეთეთ, თქვენს თავს ქალს ეძახით?

ნანა

(ტირილს იწყებს). თქვენ მართლა აუტანელი ხართ...

ალიკო

ღმერთო, რას მეუბნებით? რას მელაპარაკებით? რას ბრძანებთ? თქვენ თვით სათნოება ხართ.

ნანა

(ტირილს უმატებს). ნუ დამცინით.

ალიკო

არ მჯერა, არც ერთი თქვენი ცრემლის არ მჯერა. თქვენ ისვრით და შემდეგ ტირით? თქვენ რა, ნიანგი ხართ? ლიფტში გაჭედილი ჟურნალისტი ნანა, რომელიც შეთავსებით ნიანგია.

(შუქი ინთება, ლიფტი დაიძვრება).

ალიკო

მადლობა ღმერთს.

ნანა

(სლუკუნით) მაპატიეთ, მაპატიეთ... დამნაშავე ვარ, ვხვდები ამას... არ უნდა მოვქცეულიყავი ასე... მე მართლაც შემეშინდა, შემეშინდა, რომ კუდში მომყვებოდით და სადარბაზოში რომ დაგინახეთ, ვიფიქრე... უფრო სწორად... მერე იცით, რაც მოხდა, მაგრამ მე არ მისვრია, გეფიცებით, არ მისვრია. გინდათ ლექსი წაგიკითხოთ? არა? კი, კი, გინდათ, თქვენ ხომ მიმღერეთ?.. *(გამოთქმით კითხულობს ლექსს).*

„ჩემი გული ჰარდ დისკია, სახელად სიგეი ბარაკუდა,

და მას ათი ათასი ბრუნვა აქვს წამში.

ჩემი ტვინი ორასორმოცდათექვსმეტი მეგაბიტიანი მახსოვრობით განისაზღვრება

და მის ოთხმოც პროცენტს სიყვარული იყენებს.
ჩემი თვალები სამსუნგის მონიტორია,
რომლის ცისფერ ეკრანს შენი ღიმილი ამშვენებს.
ჩემი ხელები ჯენიუსის მაუსია,
ოცდაჩვიდმეტი დოლარად ნაყიდი მაუსის ფედთან ერთად;
მაუსის ფედი ცხოვრების გზაა,
რომელსაც ათასჯერ გავდივარ წინ და უკან.
ჩემი სხეული ჰაი ტაუერია,
სადაც ყველაფერ ამას ორი ქულერი აგრილებს
და მე როგორ მგრილა...
თუ რამე მოხდა, ინტერნეტიდან დაგააფგრეიდებ,
სადაც ვიზა ბარათით სიყვარულს ვიყიდი ერთი კვირით:
ექვს და ოთხმოცდაცხრამეტ ცენტად.
შემდეგ ჩვენს შეხვედრას დავაინსტალირებ სადმე, მარტონი რომ ვიყოთ,
სტარტს დავაჭერ და სექსს ყველაზე რთული ლეველიდან დავიწყებთ.
„ფლეშკის“ დრაივერში იუესბი მეხსიერებას შევაერთებ,
რეკორდის ღილაკს თითს დავაჭერ
და ემ პე ოთხის ფაილად გადავაქცევ ჩვენს შეხვედრებს.
მსოფლიო ჩვენ ინტერნეტის საშუალებით გვიხილავს,
ემ პი იჯი ფაილად ატვირთულებს,
და ვიქნებით საიტზე: მედაშენ ჯი.
და რაც მთავარია, ვიქნებით ფრიი“.

ალიკო

რატომ დამაბრალეთ, რომ ფეხზე გეფერებოდით?

ნანა

არ ვიცი, თქვენ ამას რას უწოდებთ, მაგრამ მე მაინც უფლებას ვიტოვებ, კაბის ქვეშ ხელის შეცურებას რაღაც-რაღაცების მცდელობა დავარქვა.

ალიკო

ღმერთო!

ნანა

იცით, თქვენ მართლაც მომკიდეთ ფეხებზე ხელი.

ალეკო

როგორ უნდა დავიჯერო ის, რაც ნამდვილად ვიცი, რომ არ მომხდარა? როგორ უნდა წარმოვიდგინო, რომ თქვენ არ გისვრიათ, როდესაც ხელში პისტოლეტი

გეჭირათ და მიმიზნებდით და მესროლეთ, ეს როგორ უნდა დავიჯერო, როდესაც მე არც კი გავკარებივარ თქვენს კაბას, არც კი მიფიქრია, რა გაქვთ ფეხებს შორის.

ნანა

ყველაფერს თავიდან იწყებთ. უზრდელი ხართ!

ალიკო

იქნებ, ასე უცაბედი და უდროო მარცხიც მომეჩვენა? იქნებ ჰაერი რომ მოწამლეთ, ისიც მომელანდა? თუ ესეც მე ვქენი? არა, პისტოლეტიც მე ვესროლე ჩემს თავს. თქვენ აქ, არაფერ შუაში ხართ.

ნანა

ძალიან კონფლიქტური ხართ.

ალიკო

კონფლიქტური კი არა, ახლა უკვე თითქმის მანიაკი ვარ და ღმერთს ვთხოვ, ეს ლიფტი მალე ავიდეს, რომ ვინმე არ შემომაკვდეს. აი, ვინ ვარ მე.

ნანა

რატომ უნდა გითმინოთ ამდენი თავხედობა? რატომ?! ვინ ხართ საერთოდ? ვინ მოგცათ ყველაფერი ამის უფლება? რატომ მაბრალებთ ყველაფერს? არ მისვრია თქვენთვის! ისეთი არაფერი გამიკეთებია, რომ შემრცხვეს და თავი დავიდანაშაულო!

(ლიფტი ჩერდება და კარი იღება).

ნანა

თქვენ მანიაკი ნამდვილად არ ხართ, თქვენ მანიაკზე უარესი ხართ. თქვენ ყველასათვის საშიში ხართ – დიდისთვისაც და პატარისთვისაც. თქვენ... თქვენ...

(ალიკო ლიფტიდან გადის. ნანაც მას მიჰყვება).

ალიკო

რას დამდევთ კუდში?

ნანა

თქვენ?!

ალიკო

თქვენ რა, აქ ცხოვრობთ?

ნანა

და თქვენ?

ალიკო

დამანებეთ თავი.

ნანა

თქვენ თვითონ დამანებეთ თავი.

ალიკო

კიდევ ერთი ნაბიჯი და გესვრით. *(ჯიბიდან გაზის პისტოლეტს ამოიღებს).* „ვალტერი აი-იუ-ჯი“. თექვსმეტი ტყვიით, თექვსმეტი სიმართლით და თექვსმეტი ღირსებით! თექვსმეტი გაუწონასწორებელი სიტყვა და თექვსმეტი შურისძიება. ნუ მაიძულებთ, რომ თექვსმეტჯერ იტიროთ.

ნანა

მე რას ვამბობდი? აი, თქვენ თვითონ ესროლეთ საკუთარ თავს!

ალიკო

გეფიცებით, გესვრით, გეფიცებით, თუ ახლა თავს არ დამანებებთ, გესვრით და მერე თქვენს თავს დააბრალეთ.

ნანა

ეს... ეს... რა გინდათ ჩემ... *(სიტყვები არ ჰყოფნის).* გამატარეთ.

ალიკო

არა, ეს თქვენ გამატარეთ.

ნანა

გამატარეთ!

ალიკო

არა, თქვენ გამატარეთ!

ნანა

გამატარეთ!

ალიკო

მე არ გავიწევი. გამატარეთ!

ნანა

გამატარეთ!

ალიკო

არა, თქვენ გამატარეთ!

ნანა

გამატარეთ!

ალიკო

მე არ გავიწევი. გამატარე!

ნანა

არც მე გავიწევი. გამატარეთ, გზა მომეცით.

ალიკო

გზა თქვენ დათმეთ. სულ რაღაც ნახევარი საათია, მე გზას ქალებს
აღარ ვუთმობ.

ნანა

მე კი მთელი ცხოვრებაა არავის ვუთმობ გზას!

ალიკო

გესვრით და გამომრჩებით.

ნანა

(პისტოლეტს ამოიღებს). მესვრით და გესვრით.

ალიკო

მესვრით და მეც გესვრით, მაგრამ ჯერ გამატარეთ, თორემ პირველი მე გესვრი.

ნანა

მესვრით თუ არა, მეც გესვრით, მაგრამ ჯერ გამატარეთ, თორემ!..

ალიკო

არა, ეს თქვენ გამატარეთ.

ნანა

გამატარეთ!

ალიკო

არა, თქვენ გამატარეთ!

ნანა

გამატარეთ!

ალიკო

მე არ გავიწევი. გამატარეთ!

ნანა

გამატარეთ!

ალიკო

არა, თქვენ გამატარეთ!

ნანა

გამატარეთ!

ალიკო

მე არ გავიწევი. გამატარეთ!

ნანა

არც მე გავიწევი. გზა მომეცით.

ალიკო

გზა თქვენ დამითმეთ. სულ რაღაც ნახევარი საათია, მე გზას ქალებს აღარ ვუთმობ.

ნანა

მე კი, მთელი ცხოვრებაა არავის ვუთმობ გზას!

ალიკო

გესვრით და გამომრჩებით.

ნანა

მესვრით და გესვრით.

ალიკო

აი, უკვე სადაცაა გესვრით.

ნანა

მე გესვრით. მე დაგასწრებთ.

(ალიკო ნანას პისტოლეტს უმიზნებს და ჩახმახს შეაყენებს. ნანა მის ყოველ მოძრაობას სარკესავით იმეორებს. რამდენიმე წამი ასე დაძაბულნი ერთმანეთს უცქერენ. ალიკო მარჯვნივ გადადგამს ნაბიჯს. ნანაც მას მიბაძავს. ალიკო ცალ ფეხს მოკეცავს და შემდეგ გაშლის, ნანაც, ალიკო შეხტება, ნანაც შეხტება, ალიკო ძაღლივით შეჰყეფს, ნანა ჯერ შეცბება, შემდეგ კი ნანა კატასავით დაიკნავლებს. ალიკო ნანასკენ ერთ ნაბიჯს გადადგამს, ნანა უკან დაიხევს. ისმის გასროლის ხმა – ერთი, შემდეგ მეორე. მცირე პაუზის შემდეგ ჯერ ნანა ეცემა, შემდეგ ალიკო. სცენა ბნელდება. ნათდება მხოლოდ ლიფტი, სადაც უცნობი მამაკაცის მანიაკური სახე გამოჩნდება, რომელიც ბოროტად იღიმის).

დასასრული